



სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



MES 8 23 0001410831



20/10/2023

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N16

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა და ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა დავალიანების ჩამოწერის (განულების) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N378 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2023 წლის 18 სექტემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის #8 ოქმის გათვალისწინებით, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N378 დადგენილების შესაბამისად ჩამოეწეროს (გაუნულებს) 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ფინანსური დავალიანება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს და ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება გაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღიკვეთა-ანგარიშგების სამსახურს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას, იურისტს და განთავსდეს ვებ- გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
ჩიბურდანიძე ლავრენტი

